W20

ხელშეკრულება №169

ქ. თბილისი 20.12.2016წ.

ერთი მხრივ, სსიპ. ქ. თბილისის №65-ე საჯარო სკოლა (შემდგომში „დამკვეთი") და მისი დირექტორი ნინო მჭედლიშვილი-ს სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს „სანტექ. სერვისი" და მისი დირექტორის ზვიად სამუშია-ს სახით (შემდგომში „შემსრულებელი"), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქ. თბილისი, სსიპ. ქ. თბილისის №65 საჯარო სკოლის ტერიტორიაზე ჩასატარებელი სამუშაოები, შესაკეთებელია 3 ცალი ცენტრალური გათბობის რადიატორი (CPV 50720000).

ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 მომსახურების ობიექტის ფასი განისაზღვრება ეროვნული ლარით.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარი.

2.3 ხელშეკრულების 2.2 პუნქტში აღნიშნულ ფასში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი და მოსაკრებელი.

შესყიდვების ობიექტის ხარისხი და გარანტია

3.1 შემსრულებელი იძლევა გარანტიას, რომ შესასყიდი მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს დამკვეთის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

3.2 შემსრულებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს კუთვნილი სადაზღვეო მომსახურების გაწევა დამკვეთის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

მომსახურების გაწევის ვადები, ადგილი და პირობები

4.1 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურეობის გაწევის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორმხრივად ხელმოწერის დღიდან 7 დღის განმავლობაში

ანგარიშსწორების ფორმა და გრაფიკი

5.1 შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ლარში.

5.2 ხელშეკრულების განსაზღვრული მომსახურების გაწევის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდი ანგარიშსწორების ფორმით.

5.3 ანგარისწორება დამკვეთის მიერ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 დამკვეთს უფლება აქვს:

- შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- თუ მიწოდებული მომსახურება არ აკმაყოფილებს დამკვეთის მოთხოვნებს, არ მოაწეროს ხელი მიღება-ჩაბარების აქტს მანამ, სანამ არ აღმოიფხვრება ხარვეზი შემსრულებლის მიერ და შემსრულებლის ხარჯებით, დამკვეთის მიერ მიცემულ დამატებით ვადაში.

6.2 დამკვეთი ვალდებულია:

- მოახდინოს ანგარიშსწორება შემსრულებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.3 შემსრულებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს დამკვეთს შესყიდვის ობიექტის ღირებულებისანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6.4 შემსრულებელი ვალდებულია:

- შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დროულად და ხარისხიანად.
- საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის, ნაკლის აღდგენა.
- დროულად განიხილოს დამკვეთის მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებიტი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

7.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

7.4 ხელშეკრულებასთან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

7.5 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით.

ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ორმხრივად ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 20 იანვრამდე.

დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 შეთანხმების მიუხწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სხვა პირობები

10.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

10.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

10.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის იქნება წერილობითი ფორმით შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

„დამკვეთი”	„შემსრულებელი”
სსიპ. ქ. თბილისის №65-ე საჯარო სკოლა მის: ქ. თბილისის, გორგასლის №75 ს/კ 204422703 ტელ: 275-26-23 ; 577 95 05 03.	შ.პ.ს. “სანტექ სერვისი” იურიდიული მის: ქ. თბილისი, შ. ნუცუბიძის ფერდ. 4მკ/რ. კორ. 19ა. ბ.45 ს/კ 404925836 ს.ს.„თი ბი სი ბანკი” ა/ა GE68TB7072436080100003 ბ/კ TBCBGE22 ტ. 245 02 10: 245-45-46: 579 76 72 78. info@santeqservice.ge
დირექტორი /ნ. მჭედლიშვილი/ ----------	დირექტორი /ზ. სამუშია/ ----------

მიღება-ჩაბარების აქტი

ქ. თბილისი 20.12.2016 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ შ.პ.ს. „სანტექ.სერვისი" და მისი დირექტორის ზვიად სამუშია-ს სახით (შემდეგში „შემსრულებელი") და მეორე მხრივ, სსიპ. ქ. თბილისის №65-ე საჯარო სკოლა და მისი დირექტორი ნინო მჭედლიშვილი-ს სახით (შემდგომში „დამკვეთი") ვადგენთ მიღება-ჩაბარების აქტს მასზედ, რომ შემსრულებელმა 20.12.2016 წელს გაფორმებული №169-ე ხელშეკრულების შესაბამისად ჯეროვნად შეასრულა და დამკვეთმა ჩაიბარა 2016 წლის დეკემბრის თვეში შესრულებული შემდეგი სამუშაოები: შეკეთდა 3 ცალი ცენტრალური გათბობის რადიატორი. რომლის ღირებულება შეადგენს 150 (ასორმოცდაათი) ლარს, რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

დამკვეთი: სსიპ. ქ.თბილისის №65-ე საჯარო სკოლა დირექტორი ნ.მჭედლიშვილი ----------	შემსრულებელი: შ.პ.ს. „სანტექ.სერვისი" დირექტორი ზ. სამუშია ----------

შპს "სანტექ.სერვისი"
ს/კ 404925836
თბილისი შ. ნუცუბუძის ფერდ
4 მკ/რ კორპ. 19ა ბ. 45
ტელ: 2 45 45 46 ; 579 76 72 78

საბანკო მონაცემები
სს. "თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE68TB7072436080100003

ი ნ ვ ო ი ს ი

თარიღი: 20.12.2016 წელი

დამკვეთი: სსიპ. ქ. თბილისის №65 საჯარო სკოლა ----------

№	აღწერა	რ-ბა	ერთ.ფასი (ლარი)	სულ (ლარი)
1	ცენტრალური გათბობის რადიატორის შეკეთება	3 ც	50	150

საერთო ჯამი: 150.00
ვალუტა: ლარი

ასორმოცდაათი ლარი

თანხა სიტყვიერად

დირექტორი
ზ. სამუშია

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

დადასტურებული 27/12/2016 13:50

1	ეა-13 4828676

3	დეკემბერი	2016

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	27	დეკემბერი	2016

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

5.1	4	0	4	9	2	5	8	3	6		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს სანტექ. სერვისი

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

6.1	2	0	4	4	2	2	7	0	3		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	სსიპ ქალაქ თბილისის #65 საჯარო სკოლა

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
გაიწმინდა საკანალიზაციო ჭა	ცალი	1.0000	150.0000	22.8800	0.0000
		სულ	150	22.88	0

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის

ხელმოწერა_____ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა_____ბ.ა.